საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

2269-01-2-201405131525

N 01/2269
13/05/2014

GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 145
თარიღი: 13 05 2014 წ.

ააპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის" დირექტორს,

ბატონ სერგი კაპანაძეს

ბატონო სერგი,

თქვენი 2014 წლის 1 მაისის N305 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო არ ფლობს 2003-2012 წლებში თბილისში/საქართველოში მიუსაფარ ადამიანთა თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას.

,,2013-2014 წლების ზამთრის პერიოდში მიუსაფარი პირების დახმარებით გასატარებელ გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის N1946 განკარგულებით შეიქმნა, 2013-2014 წლების ზამთრის პერიოდში მიუსაფართა პრობლემებზე მომუშავე უწყებათაშორისი დროებითი კომისია.

ამასთან, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 მარტის N416 განკარგულებით, კომისიის უფლებამოსილება განისაზღვრა 2013-2014 წლებში მიუსაფარი პირების დახმარების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე. 2014 წლის 1 მაისის მდგომარეობით, მიუსაფართა თავშესაფარში ბენეფიციართა რაოდენობა მერყეობს 200-დან - 210 პირამდე.

მიმდინარე წლის 1 მაისის მდგომარეობით ღონისძიებებზე გაწეული ხარჯები შეადგენს 240 626,0 ლარს. მათ შორის:

N	ხარჯების კლასიფიკაცია	2014 წლის 1 მაისის მდგომარეობისთ გაწეული ხარჯი (ლარი)
1	სამედიცინო პუნქტის მოწყობა, სასწრაფოსამედიცინო ბრიგადის მიმაგრება, ბენეფიციართა მედიკამენტებით, საკვებით, შეშით, ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა	**187564,0**

საქაოველო, 0160, თბილისი, აღ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722

2	ბენეფიციართა სამედიცინო მომსახურება	**25500,0**
3	კვების მიტანა, საწოლებითა და თბილი გადასაფარებლებით უზრუნველყოფა	**6073,0**
4	ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ინვენტარი, შეშა	**21489,0**
	სულ	**240626,0**

მიუსაფართა თავშესაფარი ამჟამად მოწყობილია და ფუნქციონირებს თბილისში მოსკოვის პროსპექტზე. კომისიის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წლის ივნისის თვიდან იგეგმება დიდი ლილოს ტერიტორიაზე კარვების გადატანა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს დიდი ლილოს ტერიტორიაზე ახალი გრძელვადიანი თავშესაფრის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ხელშეკრულების თანახმად პროექტირება დასრულდება 15 ივნისამდე, რის შემდეგაც დაიწყება სამშენებლო სამუშაოები.

პატივისცემით,

მაკა ჯაიანი

დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი